სასიხარულო და შთამბეჭდავი დღესასწაული

● **რუსეთის** ხოდაბუნების ოქროსფერი თავთავები და ქართული მიწის ქარვისფერი ყურძნის მტევნები, რომლებითაც სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზის სცენა მოერთოთ, წარმოდგა 30 სექტემბერს მაყურებელთა წინაშე რუსი და ქართველი ხალხების დიადი ძმობის შთამბეჭდავ სიმბოლოდ. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა.

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე ო. ტ. ივანოვი, რუსეთის სფს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები.

● **30 სექტემბერს** საქართველოს სს რესპუბლიკაში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების საზეიმო გახსნის დღეს, მისი მონაწილენი მოვიდნენ საქართველოს დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ მოედანზე, რათა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის წინაშე საყოველთაო-სახალხო სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის ვალი მოეხადათ.

● **იმავე დღეს** საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა პატივი სცეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპული ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების ხსოვნას. თბილისის გამარჯვების პარკში მათ გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 189
(7500)

2
1983 წ.
ოქტომბერი.
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ერთსულოვნად იწონებენ

ამ დღეებში რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა ხალხმრავალი მიტინგები, კრებები, რომელთა მონაწილენი ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას, რომელშიც რეალისტურად არის შეფასებული ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის კურსი.

შევინარჩუნოთ მშვიდობა დედამიწაზე!

ამ დევიზით გაიმართა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მიტინგი, რომელიც გახსნა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა თ. პაიჭაძემ.

— ჩვენს ქვეყანას ბევრი სიძნელე გამოუცდია, — აღნიშნა თავის გამოსვლაში დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიის და მეთოდიკის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ალ. რატიამ, — ყველაზე ძნელი და საშინელი გამოცდა ომის ქარცეცხლიანი წლები იყო. ყველას კარგად მოეხსენება მათი ბედი, ვინც ომის ხანძარი დაანთო...

— დღეს მთავარია შევინარჩუნოთ მშვიდობა, რათა ჩვენმა შვილებმა შეძლონ მამა-პაპათა დაწყებული საქმის, ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის გაგრძელება, — თქვა მრავალშვილიანმა დედამ, ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის დოცენტმა ზინაიდა ჩიქოვანმა. — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის კეთილი ნება, მისი სურვილი, რომ შეთანხმდეს, არავინ არ უნდა მიიჩნიოს სისუსტის ნიშნად. საბჭოთა კავშირი შეძლებს საკადრისი პასუხი გასცეს ყოველგვარ ცდას — დაარღვიონ არსებული სამხედრო სტრატეგიული ბალანსი — და მისი სიტყვა და საქმე ერთი იქნება“. დიახ, იცოდნენ ძალის მოყვარულებმა, რომ ჩვენს დიად ქვეყანას გააჩნია არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, არამედ ყველაზე მთავარი — მონოლითურად შეკრული მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის მეგობრობის ძალა, რომლის ბადალი არსად მოიპოვება.

— ჩვენი, ახალგაზრდობის ვალია კვლავაც დიდი ყურადღება დავუთმოთ სწავლას, ფიზიკურ წრთობას, რათა შემდგომში, როდესაც დაგვეკისრება საპატიო მისია ვიყოთ სხვათა აღმზრდელნი, აღვზარდოთ ყოველმხრივ გამოწრთობილი მომავალი თაობა, — თქვა თავის გამოსვლაში ინსტიტუტის III კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა ი. აზნაურაშვილმა, — დღეს კი ყველანი მხარს ვუჭერთ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას...

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას.

მხოლოდ სპორტულ სარბიელზე!

საბჭოთა სახელმწიფომ არსებობის 65 წლის მანძილზე წარმატებით გამოიარა ბევრი განსაცდელი, მათ შორის ყველაზე მკაცრი განსაცდელიც. ისტორიამ ცხადყო, რომ ისინი, ვინც ცდილობდნენ ხელეყოთ ჩვენი ქვეყნის მთლიანობა, დამოუკიდებლობა, ჩვენი წყობილება, თავად აღმოჩნდნენ განწირულნი.

ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი ცხოვრების მომხრეა და ეს კარგად იციან მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებმა. მშვიდობის განმტკიცების, სამშობლოს პრესტიჟის ამაღლების კეთილშობილურ საქმეში წვლილი შეგვაქვს ჩვენც, სპორტსმენებსაც. ჩვენი გამოსვლები საზღვარგარეთ დასტურია იმისა, რომ დიადი საბჭოეთი უდიდეს ყურადღებას უთმობს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას, ქვეყანა, ხალხი რუდუნებით ზრდის უმაღლესი კლასის სპორტსმენებს, რომელთაც სურთ იბრძოლონ მხოლოდ სპორტულ სარბიელზე.

გ. ბიჭიაშვილი.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

● სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი კალათბურთში ●

ხუთი გამარჯვება, ერთი მეორეზე ძვირფასი

თბილისი. სპორტის სასახლე. 30 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (რიგა) 91:90 (52:46).

„დინამო“: კაპუსტინი (18), ბოროდაჩოვი (4), ბიჭიაშვილი (4), დარსაძე (16), მარჩენკო (6), დერიუგინი (29), მილოვიდოვი (8), ლიპარტელიანი (6).

ასკ: ივანოვი (14), იაკოვლევი (18), ტოლმაჩოვი (2), გრიუნდმალი (6), გონჩარენკო (20), კუზნეცოვი (18), რეიგამი (2), გრიჩახი (4), ათანასოვი (6).

მსაჯები: ა. ბაბუშკინი (ხარკოვი) და ს. კოპიტოვი (კიევი).

მოსკოვში, პირველი წრის დასკვნითი მატჩების სათამაშოდ სოლიდური მარაგით რომ წასულიყვნენ, ტურის ეს უკანასკნელი მატჩი თბილისელებს აუცილებლად უნდა მოეგოთ.

მინსკელებთან შეხვედრის შემდეგ აშკარა გახდა, რომ 4 გამარჯვებას გუნდმა უზარმაზარი ენერგია შეალია (ამ მატჩების მთელი სიმძიმე ფაქტიურად ექვსი კალათბურთელის მხრებზე გადავიდა), მისი ანაზღაურება ასე მცირე დროში, ბუნებრივია, ვერ მოხერხდებოდა. უთუოდ ამიტომ იყო, რომ რიგელებთან მატჩში სასტარტო ხუთეული ერთგვარად შეიცვალა.

თავიდან ყველაფერი გეგმით წარიმართა — „დინამო“ დაწინაურდა და ტაიმიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 52:46. საქმე არც მეორე ტაიმში ყოფილა ურიგოდ — თხუთმეტი წუთის განმავლობაში „დინამო“, მართალია საგრძნობლად არ დაწინაურებულა, მაგრამ 6-10 ქულის სხვაობით მაინც იგებდა მატჩს.

პირველი საგანგაშო ნიშანი შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გაჩნდა — სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში — 82:82. დარსაძის 2 ზუსტი ტყორცნის შემდეგ მასპინძლები ისევ დაწინაურდნენ — 86:82. აქედან მოყოლებული „დინამოს“ ველარ იცნობდით. ყველაფერმა ერთბაშად „გაუხსენა“ გუნდს. ერთი მეორის მიყოლებით ცდებიან გამოცდილებიც და ახალბედებიც, მასპინძლები აშკარა მარცხის წინაშე დგანან — 87:88, 89:90. ეს ანგარიშია 38 წამით ადრე. ბურთი თბილისელებს აქვთ. ისევ კარგავენ. სადავო. ისევ მასპინძლები. ბიჭიაშვილი. ტყორცნა ზუსტია — 91:90! სტუმართა შეტევა და ახლა სიჩქარეში ისინი ცდებიან. „დინამო“ ზედიზედ მეხუთეჯერ იმარჯვებს. თითოეული მათგანი უაღრესად დაძაბულ, მძიმე ბრძოლაშია მოპოვებული, და მით უფრო ძვირფასია ეს 5 ქულა.

ვულოცავთ დინამოელებს ამ მშვენიერ სტარტს და შემდგომ ტურებშიც ასეთივე წარმატებით თამაშს ვუსურვებთ.

ბ. ირემაძე.

• • •

სურათზე: მეტოქის კალათს უტევს ი. მილოვიდოვი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

გთავაზობთ რიგის ტურის უკანასკნელი დღის შეხვედრათა შედეგებს: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სტროიტელი“ (კიევი) 84:79 (46:37), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — ასკ (კიევი) 93:78 (42:44), ვეფ-ი (რიგა) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 90:87 (52:45).

გათამაშების ცხრილი მოსკოვის ტურის წინ

	მ.	წ.	ბ.	ქ.
1. „ჟალგირისი“	5	0	491—388	5
2. „დინამო“ (თბ.)	**5**	**0**	**467—456**	**5**
3. ასკ (კიევი)	3	2	428—409	3
4. „დინამო“ (მ.)	**3**	**2**	**479—464**	**3**
5. ვეფ-ი (რიგა)	3	2	436—444	3
6. „უნივერსიტეტი“	**2**	**3**	**450—436**	**2**
7. ცსკა	**2**	**3**	**434—422**	**2**
8. „სპარტაკი“	2	3	396—415	2
9. რტი (მნ.)	**2**	**3**	**432—458**	**2**
10. „სტროიტელი“	2	3	407—455	2
11. ასკ (რიგა)	**1**	**4**	**418—444**	**1**
12. „სტატიბა“ (ვ.)	0	5	432—477	0

შენიშვნა: შავი შრიფტით აღნიშნულია თბილისის ტურში მონაწილე გუნდები.

БОРЬБА КЛАССИЧЕСКАЯ · ВОЛЬНАЯ · САМБО ·
ЧЕМПИОНАТ МИРА ·
FILA
КИЕВ
1983

პირველი ჩემპიონები

კიევში დასასრულს უახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში. ტურნირის პირველ დღეს ფინალში ოქროს მედლებისთვის ხუთივე საბჭოთა ათლეტი იბრძოდა. საბოლოოდ წარმატება ხვდათ მინსკელ მიხეილ ბარანოვს (100 კგ-მდე), ვლადივოსტოკელებს ნურისლამ ხალიულინს (48) და არკადი ბუზინს (82).

სხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს ესპანელმა მიგელ გარსიამ (57) და მონგოლმა გალდან ჟამსრანმა (68).

საქართველოში მიმდინარეობს საბჭოთა რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი

ანდრეი ვოზნესენსკი: ვეტრფი რუსთაველის, არსაკიძის, ფიროსმანის ქვეყანას...

მასთან შეხვედრა იმაზე ძნელი გამოდგა, ვიდრე გვეგონა. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებზე ჩვენს ქალაქში ჩამოსულ ცნობილ მოსკოველ პოეტს **ანდრეი ვოზნესენსკის** პირდაპირ მოსვენება არ ჰქონდა — ხან სად იწვევდნენ, ხან სად. ყველა გაზეთსა თუ ჟურნალს, რადიოს, ტელევიზიას სურდა მისგან „ცხელი" ინტერვიუს აღება, თავიანთი მკითხველებისა თუ მსმენელების გახარება.

...მაინც მოვახერხეთ. გუშინ ნაშუადღევს კინოს სახლში გამართულ რუს და ქართველ პოეტთა შეხვედრის შემდეგ ძვირფასი სტუმარი რამდენიმე წუთით დავიმარტოხელეთ.

● **დღეს თქვენი ახალი წიგნიდან მშვენიერი ლექსები წაგვიკითხეთ, მათ შორის საქართველოზეც...**

— სასიგნალო ეგზემპლარია, წიგნს მალე თქვენც მიიღებთ. რაც შეეხება შინაარსს, ამ ცისფერყდიანი წიგნის დაახლოებით მეხუთედს საქართველოსა და ქართველებს ვუძღვნი. ვიმედოვნებ, რომ ისინი მოეწონება არა მარტო იბერთა შვილებს...

● **თქვენი შესანიშნავი „მილიონი ვარდი" ნიკო ფიროსმანის გულწრფელ სიყვარულს მიუძღვენით...**

— ფიროსმანიშვილის სურათების ძველი თაყვანისმცემელი ვარ. როგორც მხატვარი და არქიტექტორი დიდად ვაფასებ მათ, შეუდარებლად მიმაჩნია ისინი. ნიკალას ნამუშევრების ორიგინალები მოსკოვში მრავალჯერ მინახავს კონსტანტინე სიმონოვთან, თბილისში კი ჩემს მეგობარ ზურაბ წერეთელთან. ფიროსმანის სიყვარული ფრანგ მსახიობ მარგარიტასადმი, მისთვის მილიონი ვარდის შესაძენად მხატვრის მთელი „უძრავ-მოძრავი ქონების" გაყიდვის ლეგენდა თუ სინამდვილე შარშან ლექსით გამოვხატე. უნდა ითქვას, რომ დღეს ამ სიყვარულის, თუ გნებავთ, რაინდობის სიმბოლოს ახალი ელვარება მიანიჭეს ცნობილმა კომპოზიტორმა რაიმონდ პაულსმა და პოპულარულმა მომღერალმა ალა პუგაჩოვამ. „მილიონ ვარდს" იგი პირველად პარიზში გასტროლების დროს არსულებდა და, როგორც თვითონ მითხრა, ფრანგი მსმენელი ყოველ კონცერტზე მისთვის ჩვეული იუმორით მოითხოვდა: „მადამ პუგაჩოვა, გვიმღერეთ კიდევ... ერთი მილიონი".

● **ზურაბ წერეთელთან თანაავტორობით წლეულს თქვენ შექმენით საუცხოო სტელა „მეგობრობა საუკუნოდ", მოსკოვში ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩას რომ ამშვენებს...**

— ცხადია, პრიორიტეტი აქ ზურაბს ეკუთვნის. სტელა მართლაც შთამბეჭდავია — 135 მეტრი სიმაღლის, შესრულებულია სპილენძისაგან. მასზე გადაჭდობილი ძველი ქართული და რუსული ასოებია ამოტვიფრული. სტელას საზეიმო გახსნის შემდეგაც ბევრჯერ მოვსულვარ აქ. დილით, შუადღისას თუ საღამოს და მუდამ ერთი და იმავე სურათის მომსწრე ვყოფილვარ — ახალგაზრდები კითხულობენ შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, სერგეი ესენინის, ბორის პასტერნაკის ლექსებს.

● **სპორტული გაზეთის მკითხველებს, ცხადია, აინტერესებთ „ვოზნესენსკი — სპორტსმენი": როგორ შეიძლება, წარმოვიდგინოთ ეს?**

— სპორტსმენი არა, მაგრამ ფიზკულტურელი კი ნამდვილად ვარ. ყოველ შემთხვევაში, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ დილის ვარჯიშის გარეშე არც ერთ დღეს არ ვიწყებ. ზოგჯერ ქალაქგარეთ გასული მსუბუქ სირბილზეც არ ვამბობ უარს. ისე კი... მგონი „სპორტსმენიც" ვარ — ამ ორი წლის წინათ ცნობილმა კომპოზიტორმა როდიონ შჩედრინმა გულრიფშში დასვენების დროს წყლის თხილამურებით სიარული მასწავლა. ჩემი მეგობარი ნოდარ დუმბაძე მარწმუნებს, რომ ცოტას თუ მოვუმატებ ვარჯიშს, შეიძლება... შავი ზღვის ჩემპიონიც გავხდე.

● **ერთი სული გვაქვს გკითხოთ: ვის ქომაგობს ფეხბურთში პოეტი ანდრეი ვოზნესენსკი?**

— მოსკოვის „ტორპედოს". ყველაზე მეტად მომწონდნენ პონომარიოვი, გომესი, სტრელცოვი, ივანოვი, მეტრეველი... დამერწმუნეთ, ვეტრფი თბილისის „დინამოსაც", შეიძლება იმიტომ, რომ ბევრი ქართველი მეგობარი მყავს. სხვათა შორის, ქართველ ფეხბურთელთა მიერ თასების თასის მოპოვების ამბავი ლონდონში გავიგე, თეატრში გამოსვლის დროს. ეს ის თეატრია, სადაც სახელოვანი რუსთაველის დასიც გამოდიოდა ნიჭიერი რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით. დღესაც, როდესაც ლონდონს ვიგონებ, თავისთავად რუსთაველის სახელობის თეატრი და... თბილისის „დინამო" მახსენდება.

● **რამდენჯერ ყოფილხართ თბილისში?**

— უთვალავჯერ. მინდა ვიფიქრო, რომ კიდევ ბევრჯერ ჩამოვალ თქვენს ლამაზ ქალაქში, დაუსრულებლად ვიხეტიალებ რუსთაველის პროსპექტზე, ძველი თბილისის უბნებში, ვესტუმრები ნაღდი მხატვრის ფიროსმანის სახლ-მუზეუმს, მოვინახულებ მის მშობლიურ მირზაანს, კვლავ ვეწვევი არსაკიძის მცხეთას, ქართველთა მიწა-წყალს...

სტუმარს ესაუბრა ო. ნოზაძე.

●

ს უ რ ა თ ზ ე: ანდრეი ვოზნესენსკი (მარცხნივ) და ნოდარ დუმბაძე გუშინ კინოს სახლში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ა. ვოზნესენსკის ავტოგრაფი და მისალმება „ლელოს" მკითხველებისადმი.

Привет
читателям "Лело"
Андрей
Вознесен...
1 окт. 1983 г.

---

2 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

ვასილ სუხომლინსკის დაბადებიდან 65 წლისთავის გამო

„სიხარულის სკოლის" მასწავლებელი

გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგის, სოციალისტური შრომის გმირის, უკრაინის სსრ დამსახურებული მასწავლებლის, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, კიროვოგრადის ოლქის ონუფრიევსკის რაიონის სოფელ პავლიშის საშუალო სკოლის დირექტორის ვ. სუხომლინსკის (დაიბადა 1918 წლის 28 სექტემბერს, გარდაიცვალა 1970 წლის 2 სექტემბერს) სახელი ფართოდაა ცნობილი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

ვ. სუხომლინსკის უდიდესი პედაგოგიური ნიჭი და პრაქტიკული საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისაკენ. იგი მთლიანობაში განიხილავდა იდეურ-პოლიტიკური, სამოქალაქო, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის ურთულეს საკითხებს. ანიჭებდა რა ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც მოსწავლეთა ჰარმონიული განვითარების საფუძველს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მეცადინეობა ფიზკულტურასა და სპორტში ასრულებს გარკვეულ როლს მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებაში მაშინ, როდესაც მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა გადატანილია მათი ჯანმრთელობისათვის ზრუნვაზე".

სუხომლინსკიმ სპეციალურად შეისწავლა სასკოლო ასაკობრივი ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ანატომია და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფიზიკური ვარჯიშით ძლიერდება კუნთური, ძვლოვანი და ნერვული სისტემა. ასევე უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა. ამიტომ იყო, რომ მან თავის შრომებში არაერთხელ აღნიშნა: „სწორი რეჟიმი, სრულყოფილი კვება, ფიზიკური ვარჯიში—ყოველივე ეს იცავს ბავშვს ავადმყოფობისაგან და აძლევს უფლებას ისიამოვნოს გარემოს სილამაზით".

სუხომლინსკი ფიზიკურ აღზრდას განიხილავდა როგორც მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდის საშუალებას: „ჩვენ ვცდილობთ — წერს იგი, — აღსაზრდელები მივიყვანოთ იმ დასკვნამდე, რომ სისტემატური ვარჯიშით მათ განუვითარდეთ არა მარტო ორგანიზმი, მოძრაობის ჰარმონია, არამედ ჩამოუყალიბდეთ ხასიათი, განუმტკიცდეთ ნებისყოფა".

მისი აზრით, აღზრდის პროცესში უდიდესი როლი ენიჭება მასწავლებლის პიროვნებას.

იძლევა რა სკოლის მთელი კოლექტივის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებას, ვ. სუხომლინსკი ახასიათებს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს გ. რეზნიკს, რომელიც ჭეშმარიტი პედაგოგის თვისებებით ხასიათდება: „ფიზიკური კულტურის მასწავლებელი რეზნიკი ჩვენს სკოლაში ათი წელია მუშაობს. ექიმთან ერთად ის ადგენს რეჟიმსა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ვარჯიშების მოცულობას, ზრუნავს მათ შესრულებასა და დაცვაზე. ჩვენ ყველა ერთდროულად ვნაწილდებით: მათ სამეთვალყურეოდ, რომ თითოეული ადამიანი აუცილებლად მთელი ცხოვრების მანძილზე გატაცებული იყოს ტანვარჯიშით, რომ ეს არის სპორტის ერთ-ერთი კეთილშობილური სახეობა".

20 წლის გულმოდგინე დაკვირვებით ვ. სუხომლინსკიმ შეისწავლა სწავლაში მოსწავლეთა ჩამორჩენის მიზეზები: „მეცნიერულმა დაკვირვებამ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩამორჩენილ მოსწავლეთა 85% ვერ ასწრებდა ცუდი ჯანმრთელობის გამო. ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის მიზეზი ცუდი ჯანმრთელობაა". ამით მან დაამტკიცა, რომ ბავშვის სულიერი სიცოცხლე მჭიდრო ურთიერთკავშირშია პიროვნების ინტელექტის განვითარებასთან, აზროვნებასთან, ყურადღებასთან, მეხსიერებასთან, ნებისყოფასთან, მისი ფიზიკური ძალების „თამაშთან".

ბავშვთა ნორმალური ჯანმრთელობიდან გადახრამ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენა გამოიწვია, რაც ოთახში ხანგრძლივმა ყოფნამ და ნივთიერებათა ცვლის დარღვევამ განაპირობა. ამ ამბებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ რადიკალურ საშუალებად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა შრომისა და დასვენების რეჟიმის შეცვლა, ფიზიკური ვარჯიშების სახლში დამოუკიდებლად სისტემატური შესრულება.

იგი ხაზგასმით, მტკიცედ ამბობდა: ჯანმრთელობა, ჯანმრთელობა და კიდევ ერთხელ ჯანმრთელობა.

„მე არ მეშინია და ისევ და ისევ ვიმეორებ, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა აღმზრდელის უმნიშვნელოვანესი ვალია... თუ ვიანგარიშებთ ჩემს ზრუნვასა და საფიქრალს სწავლების პირველ ოთხ წელიწადში, ნახევარზე მეტი მათ ჯანმრთელობაზე მოვა".

სუხომლინსკიმ წესად შემოიღო შემოდგომისა და ზაფხულის დღეებში ბავშვები ერთი წუთითაც არ გაჩერებულიყვნენ შენობაში, მოძრაობა მას ფიზიკური წრთობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. პავლიშის საშუალო სკოლაში ბავშვებისათვის მოწყობილია შესანიშნავი სათამაშო მოედანი და აქ ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა სუფთა ჰაერზე თამაშისა და გართობისათვის. სუხომლინსკი ყოველთვის ცდილობდა ბავშვთა მოძრავი თამაშობები ზღაპრებთან და ფანტაზიასთან დაეკავშირებინა. ამით ცდილობდა ბავშვთა აზროვნებისა და ინტელექტის განვითარებას. იგი ცდილობდა, რომ მათ ზამთარშიც შეძლებოდათ სუფთა ჰაერზე ყოფნა, თამაში, ფიზიკური წრთობა, რაც დაიცავდა მათ დაავადებისაგან.

მშობლებთან მტკიცე კონტაქტით ვ. სუხომლინსკიმ მიაღწია მოსწავლეთა დღის რეჟიმის სწორად დაცვას. მისი აღსაზრდელები საგაზაფხულო და საზამთრო არდადეგებს ატარებდნენ სუფთა ჰაერზე, ბუნების წიაღში, ლაშქრობებში, ტყეში...

ვ. სუხომლინსკი ხშირად ბავშვებთან ერთად მიდიოდა ტყეში, ტურისტულ ლაშქრობაში თუ მდინარეზე. ბავშვები ისე დაინტერესდნენ, რომ ყოველდღე ბანაობდნენ ტბაში, აგროვებდნენ მინდვრის ყვავილებს. სუხომლინსკი „სიხარულის სკოლის" (ასე დაარქვეს მშობლებმა სკოლამდელთა ჯგუფს) არსებობის პირველი დღიდანვე აჩვევდა ბავშვებს გამჭოლ ქარს. იგი დარწმუნებული იყო, რომ არავითარი გამჭოლი ქარი საშიში არაა, თუ ადამიანი მას ბავშვობაში მიეჩვევა. კლასიდან კლასში გადასვლა პავლიშის საშუალო სკოლის მოსწავლეებს განსაკუთრებით უხაროდათ. მესამე კლასის დამთავრების შემდეგ საზაფხულო არდადეგების პერიოდში დილით და საღამოობით ბანაობდნენ ტბაში.

ფიზიკური წრთობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად სუხომლინსკის მიაჩნდა ბავშვების ფეხშიშველი სიარული. „მთელი ზაფხული ბავშვები ფეხშიშველი დადიოდნენ წვიმისაც კი არ ეშინოდათ. მე ამაში ფიზიკური წრთობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საშუალებას ვხედავდი"—წერდა ის. ამიტომ იყო რომ პავლიშის სკოლაში ბავშვები იშვიათად ცივდებოდნენ.

ვ. სუხომლინსკი ფიზიკური აღზრდის სისტემაში განსაკუთრებით გამოყოფდა ბავშვთა თამაშობებს, რომელსაც დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვთა სწავლასა და შრომით საქმიანობაში ჩაბმის თვალსაზრისით. „ათასგზის თქმულა, რომ სწავლა შრომაა და მისი თამაშად ქცევა არ შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება შრომასა და თამაშს შორის ჩინური კედლის აღმართვა. დავაკვირდეთ გულდასმით, თუ რა ადგილი უჭირავს ბავშვის ცხოვრებაში თამაშს, განსაკუთრებით სკოლამდელ ასაკში. მისთვის თამაში ყველაზე სერიოზული საქმეა. თამაშისას გადაეშლება ბავშვს სამყარო, ვლინდება პიროვნების შემოქმედებითი შესაძლებლობანი". მისი გაგებით, ბავშვის ცხოვრებაში თამაში აუცილებელია თამაშის საშუალებით ბავშვი შეიცნობს და თავისებურად გარდაქმნის გარემო სინამდვილეს. ამასთან დაკავშირებით მას ბავშვთა თამაშის გარეშე ვერ წარმოუდგენია სრულფასოვანი გონებრივი განვითარება. თამაშში იგი ხედავდა უზარმაზარ ფანჯარას, საიდანაც ბავშვის სულიერ სამყაროში წარმოდგენათა და გარესამყაროს ცნებათა მაცოცხლებელი ნაკადი იღვრება. დიდი პედაგოგი ამბობდა, რომ „თამაში ის ნაპერწკალია, რომელიც ცნობისმოყვარეობის ცეცხლს აღვივებს. მაშ რაა საშინელი იმაში, რომ ბავშვი თამაშით სწავლობდეს წერას, რომ ინტელექტუალური განვითარების რომელიღაც ეტაპზე თამაში შრომას ეხმარება, რომ მასწავლებელი არც თუ ისე ხშირად ეუბნება ბავშვებს: „აბა თამაში გვეყოფა, ახლა შრომას შევუდგეთ!"

თამაშების ჩატარებისა და მოწყობის დროს იგი მასწავლებლისაგან მტკიცედ მოითხოვდა სამედიცინო კონტროლის წესების დაცვას და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ორგანიზებულად ჩატარებას.

სუხომლინსკი მოსწავლეთა შორის კულტურული აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ჭადრაკს. „სიხარულის სკოლაში" იგი გოგონებსა და ბიჭებს ურჩევდა ხშირად ეთამაშათ ჭადრაკი. ამავე დროს ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჭადრაკის თამაში ხელს უწყობდა მეხსიერების, აზროვნებისა და გონების განვითარებას.

სუხომლინსკი გონებრივი შრომის შემდეგ აქტიურ დასვენებად თვლიდა ტურიზმს, ტურიზმის დროს აღნიშნავს იგი, — მტკიცდება ფიზიკური ძალები, რომელიც ხელს უწყობს ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას. ბავშვები ხედავენ ბუნებას მთელი თავისი სილამაზით".

ცნობილი საბჭოთა პედაგოგი, სკოლის დირექტორი ვ. სუხომლინსკი, იყო რა დაინტერესებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდითა და მათი ჯანმრთელობის განმტკიცებით, სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად გარკვეულ დროს უთმობდა თავის სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პრობლემების დადებითად გადაწყვეტას. ამიტომაა, რომ სუხომლინსკის ფიზიკური აღზრდის მოძღვრების პედაგოგიური მემკვიდრეობა, როგორც დიდი განძი საბჭოთა პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიაში, ემსახურება ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებას, სახალხო განათლების სისტემის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას.

ო. ცხადაძე,

ქუთაისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ემზადებიან ოლიმპიური მატჩებისათვის

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურ ნაკრებს უახლოეს ხანებში 2 შესარჩევი მატჩი აქვს ჩასატარებელი. 5 ოქტომბერს იგი სტუმრად თამაშობს საბერძნეთის გუნდთან, ხოლო 12 ოქტომბერს მოსკოვში ღებულობს ბულგარელებს.

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ე. მალოფეევმა დაასახელა 19 ფეხბურთელი, რომლებიც ემზადებიან ამ მატჩისათვის:

მეკარეები — ვიაჩ. ჩანოვი („ტორპედო“, მოსკოვი), ვ. ელინსკასი („შახტიორი“), **მცველები** — ვ. შიშკინი და ვ. იანუშევსკი („დინამო“, მინსკი), ვ. ჟუპიკოვი („ტორპედო“, მოსკოვი), ვ. კასპარავიჩუსი („ჟალგირისი“), ბ. პოზდნიაკოვი და ე. მილეშკინი („სპარტაკი“), გ. დენისოვი („ფახთაქორი“), **შუა ხაზის და თავდასხმის მოთამაშეები** — ს. გოცმანოვი, ს. ალეინიკოვი, ა. ზიგმანტოვიჩი და გ. კონდრატიევი („დინამო“, მინსკი), ფ. ჩერენკოვი და ე. კუზნეცოვი („სპარტაკი“) ვ. მელნიკოვი და ვ. კლემენტიევი („ზენიტი“), ვ. გრაჩოვი („შახტიორი“), ვ. გაზაევი („დინამო“, მოსკოვი).

საკლუბო ტურნირების წყვილები

30 სექტემბერს ციურიხში, უეფა-ს შტაბ-ბინაზე მოხდა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების II ტურის წილისყრა.

ამ შეჯიბრებებს, როგორც ცნობილია, სსრ კავშირიდან შემორჩა 3 გუნდი, რომელთა მეტოქეები ჩვენი გაზეთის წინა ნომერში იყო დასახელებული.

გთავაზობთ ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის წილისყრის საბოლოო შედეგებს:

ჩემპიონთა თასი
მერვედფინალი

„რაბა“ ეტო (უნგრეთი) — „დინამო“ (მინსკი).

„დინამო“ (რუმინეთი) — „ჰამბურგი“ (გფრ).

„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია).

„ლივერპული“ (ინგლისი) — „ატლეტიკო“ (ბილბაო, ესპანეთი).

„ბოჰემიანსი“ (ჩეხოსლოვაკია) — „რაპიდი“ (ავსტრია).

„სტანდარდი“ (ბელგია) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია).

ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი) — „რომა“ (იტალია).

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია).

თასების თასი
მერვედფინალი

„შახტიორი“ (დონეცკი) — „სერვეტი“ (შვეიცარია).

„ბევერენი“ (ბელგია) — „აბერდინი“ (შოტლანდია).

„უიპეშტ-დოჟა“ (უნგრეთი) — „კიოლნი“ (გფრ).

„ჰამარბიუ“ (შვეცია) — „ჰაკა“ (ფინეთი).

„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია).

„ნიიმეგენი“ (ჰოლანდია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი).

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „პორტო“ (პორტუგალია).

„სპარტაკი“ (ვარნა, ბულგარეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი).

უეფა-ს თასი
მეთექვსმეტედფინალი

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ასტონ ვილა“ (ინგლისი).

„ანდერლეჰტი“ (ბელგია) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია).

„ანტვერპენი“ (ბელგია) — „ლანი“ (საფრანგეთი).

„სპარტა“ (ჰოლანდია) — „კარლ ცაისი“ (გდრ).

„ვიძევი“ (პოლონეთი) — „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია).

„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი).

„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „სელტიკი“ (შოტლანდია).

„აუსტრია“ (ავსტრია) — „ლავალი“ (საფრანგეთი).

„ვერონა“ (იტალია) — „შტურმი“ (ავსტრია).

„ჰონვედი“ (უნგრეთი) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია).

„ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „ტოტენჰემი“ (ინგლისი).

„ლოკომოტივი“ (გდრ) — „ვერდერი“ (გფრ).

„ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „უოტფორდი“ (ინგლისი).

„რადნიჩკი“ (იუგოსლავია) — „ინტერი“ (ჩეხოსლოვაკია).

პაოკ (საბერძნეთი) — „ბაიერნი“ (გფრ).

„გრონინგენი“ (ჰოლანდია) — „ინტერი“ (იტალია).

* * *

შენიშვნები: წინ დასახელებული გუნდები პირველ ტურში შინ მიიღებენ მეტოქეებს.

მატჩები გაიმართება 19 ოქტომბერს და 2 ნოემბერს.



მოკლედ

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე ლიგის „ელპიდუსის“ შემადგენლობაში გამოჩნდა „სკუადრა აძურას“ ყოფილი მეკარე, 44 წლის ენრიკო ალბერტოზი, რომელმაც მსოფლიოს 4 ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

მაროკოში გაიმართა „პალესტინის თასის“ გათამაშება, რომელშიც არაბული სამყაროს 16 გუნდი მონაწილეობდა. გადამწყვეტ მატჩში ერაყის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დამარცხა საუდის არაბეთის გუნდი და თასს დაეპატრონა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მასპინძლებმა მოუგეს არაბეთის გაერთიანებული ემირატების გუნდს — 2:0. საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა ერაყელმა რადხიმ, რომელმაც 7 მატჩში 8 გოლი გაიტანა.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი
აღმოსავლეთი ზონა

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

გოლები: აბაშიძე, ალადაშვილი.

„თორი“ (ბორჯომი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

გოლები: აჰარაძე, მაკიევი („თორი“), ზ. ჯაფარიძე („მადნეული“).

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 1:4. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).

გოლები: ოსაძე-2, ღამბაშიძე, ლომსაძე („ივერია“), კაველიძე („ლოკომოტივი“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „კახეთი“ (თელავი) 0:2. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: რაზმაძე, აბდულაევი.

„ქართლი“ (გორის რაიონი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 2:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

გოლები: კეპაშვილი, ხანიშვილი („ქართლი“), ახობაძე („სამგორი“).

„პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

„არმაზი“ (მცხეთა) — „სამგორი“ (გარდაბანი) 0:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ბურთი გაიტანა ჩიმაკაძემ.

„კახეთი“ (თელავი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).

გოლები: გაგანაშვილი, აბდულაევი („კახეთი“), ქობელაშვილი („შევარდენი“).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „თორი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: კაპანაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), აჰარაძე („თორი“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

გოლები: თინიკაშვილი, ღონღაძე („დურუჯი“), ხუბეჯიშვილი, ჯიოევი („სპარტაკი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1.

დასავლეთი ზონა

„კოლხეთი“ (ხობი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

გოლები: ქომეთიანი („კოლხეთი“), ოსეფაიშვილი („ბახმარო“).

„სქური“ (წალენჯიხა) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 1:0. მსაჯი ნ წურქავა (ფოთი).

ბურთი გაიტანა შეროზიამ.

„იმერეთი“ (წულუკიძე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:3. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (გაგრა) 5:2. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).

გოლები: მერ. ხუჯაძე, კიკნაველიძე, დადუნაშვილი, გლინიანოვი, ყურაშვილი („მეტალურგი“), კაჭარავა-2 („დინამო“).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

გოლები: ხვიტია, ჭედია („დინამო“), ციმაკურიძე („სამეგრელო“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მზიური“ (გალი) 1:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

გოლები: შამათავა („ამირანი“). ზაქარაია, ოსტროვსკი („მზიური“)

„სულორი“ (ვანი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 5:4. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

გოლები: ტკაჩენკო—2, ვერულაშვილი — 2, ბრეგვაძე („სულორი“), უსტიანი, გოგიტიძე, მურვანიძე, ჩაზმავა („შუქურა“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო“ (გაგრა) 5:3. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: ციმაკურიძე-2, ჯ. აბალაია, ვ. სიჭინავა, ალთუნაშვილი („სამეგრელო“), ტესლენკო-2, რაგანიანი („დინამო“).

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:2. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

გათამაშების ცხრილები
აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 1 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალ.“	27	16	6	5	55—22	38
„კახეთი“	27	16	6	5	48—22	38
„ჰერეთი“	27	14	8	5	48—29	36
„ივერია“	27	13	6	3	43—34	32
„ავტომ.“	25	11	9	5	38—22	31
„არმაზი“	28	12	6	10	42—44	30
„შევარ.“	26	10	9	7	36—21	29
„მადნ.“	27	11	6	10	46—31	28
„დურუჯი“	26	10	8	8	50—41	28
„თორი“	27	9	10	8	34—36	28
„სამგ.“	28	8	12	8	38—34	28
„სპარ.“ ცხ.	26	11	3	12	51—48	25
„სპარ.“ თბ.	25	8	9	8	50—40	25
პოლ. ინს.	27	4	16	7	30—42	24
ფიზ. ინს.	27	7	6	14	30—42	20
„ქართლი“	26	5	9	12	35—65	19
„ალაზანი“	27	6	4	17	40—65	16
„ლოკომ.“	27	2	1	24	19—95	5

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მზიური“	29	16	5	8	49—30	37
„დინ.“ ზ.	29	16	5	8	52—39	37
„სამგურ.“	27	15	6	6	51—26	36
„სულორი“	29	15	6	8	51—37	36
„საპოვნ.“	28	14	8	6	52—27	36
„ამირანი“	29	12	7	10	52—60	33
„სქური“	29	12	6	11	39—48	30
„სამეგრ.“	28	12	4	12	51—40	28
„იმერეთი“	29	10	8	11	48—46	28
„სალხინო“	29	9	10	10	44—53	28
„კოლხ.“	29	8	12	9	47—51	28
„დინ.“ გ.	30	10	6	14	45—61	26
„მალარ.“	28	9	7	12	44—41	25
„ეგრისი“	29	9	7	13	45—50	25
„ბახმ.“	29	9	7	13	29—40	25
„მეტალ.“	29	8	9	12	48—45	25
„საირმე“	29	9	5	15	37—45	23
„შუქურა“	29	6	8	15	45—67	20
„ენგური“	24	7	4	18	20—45	18

II ჯგუფი
აღმოსავლეთი ზონა

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:0, „აბული“ (ახალქალაქი) — „განთიადი“ (კასპი) 2:1, „იმედი“ (რუსთავი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 4:2, „არაგვი“ (ქინვალი) — „თრიალეთი“ (წალკა) 4:2, „ვარძია“ (ასპინძა) — „ალგეთი“ (მარნეული) 1:1, „მაშავერა“ (დმანისი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 1:0, „მეშახტე“ (ჭიათურა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 0:1.

დასავლეთი ზონა

„ბზიფი“ (გუდაუთა) — „თოლია“ (ბათუმი) 3:2, „რაჭა“ (ამბროლაური) — „კოლხიდმშენი“ (ფოთი) 2:2, „კოლმეურნე“ (დვაბზუ) — „ოდიში“ (ზედა ეწერი) 2:2, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „კოლხიდმშენი“ (ფოთი) 1:1, „ხვამლი“ (ცაგერი) — „სენაკი“ (ცხაკაია) 4:0, „ნაპერწკალი“ (ოქუმი) — „კოლმეურნე“ (დვაბზუ) 3:1, „ავიატორი“ (სოხუმი) — „თოლია“ (ბათუმი) 2:2, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „გიგანტი“ (ლაითური) 1:1, „იმერეთი“ (ქუთაისი)—„ავტომობილისტი“ (აბაშა) 4:0, „რაჭა“ (ამბროლაური) — „ოდიში“ (ზედა ეწერი) 1:3, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 1:0.

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არაგვი“	25	16	6	3	48—27	38
„ჩიხურა“	23	16	3	4	56—40	35
„ალგეთი“	23	15	4	4	45—24	34
„ვარძია“	24	11	6	7	37—23	28
„მაშავ.“	25	11	6	8	43—30	28
„გარეჯი“	24	12	3	9	38—29	27
„იბერია“	23	9	9	5	39—23	27
„მშენებ.“	24	10	3	11	33—36	23
„მესხ.“	24	8	4	12	43—39	20
„თრიალ.“	24	7	6	11	38—43	20
„ზარზმა“	24	7	6	11	32—41	20
„განთ.“	23	8	3	12	32—46	19
„ბახტრ.“	25	7	5	13	23—39	19
„იმედი“	23	6	5	12	40—49	17
„აბული“	24	4	8	12	25—46	16
„გარისი“	24	4	3	17	22—59	11

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გიგანტი“	25	18	6	1	46—21	42
„ოდიში“	26	18	5	3	74—28	41
„„შახტ.“	26	14	7	5	42—24	35
„კოლხიდ.“	24	12	7	5	47—28	31
„ავტომ.“	25	13	4	8	42—35	30
„იმერეთი“	24	11	6	7	39—34	28
პოლ. ინს.	25	10	7	8	42—35	27
„კოლმ.“ დვ.	26	9	8	9	48—38	26
„კოლმ.“ გ.	26	8	9	9	40—41	25
„ნაპერ.“	26	10	4	12	45—51	24
„ნარუჯა“	25	9	6	10	48—43	24
„ხვამლი“	26	9	4	13	38—44	22
„ავიატორი“	26	5	8	13	44—62	18
„რაჭა“	26	7	3	16	33—73	17
„სენაკი“	25	6	3	16	38—54	15
„თოლია“	25	5	4	16	42—53	14
„ბზიფი“	24	4	3	17	26—70	11

11-მეტრიანი უდისციპლინოთა კარში

გასულ ტურში გააფრთხილეს შემდეგი ფეხბურთელები: გ. ორაგველიძე, ვ. დოლიძე, თ. მურუსიძე (სამივე—დვაბზუს „კოლმეურნე“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ო. კიშინსკი), მ. საჯაია, მ. ფიფია (ორივე — „ოდიში“, ზედა ეწერი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. ხუფენია), ზ. ქურდიძე, მ. ჭალიაშვილი (ორივე — ხაშურის „ივერია“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნოზაძე), კ. თედეშვილი (ბორჯომის „თორი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნ. გოქაძე), გ. ცინაძე (ასპინძის „ვარძია“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე პ. ქავთარაძე), გ. გულბათაშვილი (მცხეთის „არმაზი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. ბერიძე), გ. სახლთუხუცესი (თბილისის „ლოკომოტივი“, სპორტსაზოგადოების თავმჯდომარე თ. ქობულაძე).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

თასი — დინამოელებს

კიევში გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს X საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა ფეხბურთში. მონაწილეობდნენ მოსკოვის, კიევის, მინსკისა და თბილისის „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლების გუნდები. აგრეთვე ბრიანსკის, სტავროპოლის, ბათუმისა და სოხუმის ჭაბუკთა ნაკრები კოლექტივები (1965-67 წლებში დაბადებულნი). ისინი დაყოფილი იყვნენ ორ ქვეჯგუფად. კარგად ჩაატარეს შეხვედრები თბილისის დინამოელებმა (I ქვეჯგუფი), რომლებმაც დაამარცხეს მოსკოვისა და ბათუმის გუნდები შესაბამისად 1:0 და 4:0, ხოლო ბრიანსკის კოლექტივთან ითამაშეს ფრედ — 1:1. გუნდმა 5 ქულა მოაგროვა და ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

II ქვეჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა სტავროპოლის გუნდი. დებულების თანახმად ქვეჯგუფებში გამარჯვებულები ერთმანეთს გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ.

ფინალური ასპარეზობა სტავროპოლის გუნდთან მეტად დაძაბული გამოდგა. ნახევარმცველმა გ. კვირიკაძემ თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაიტანა გოლი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. ჩვენმა გუნდმა (სკოლის დირექტორი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ო. უშვერიძე, მწვრთნელები ვ. ნასარიძე და ვ. კოპალიანი) ოქროს მედლები და სამახსოვრო ბროლის თასი მოიპოვა.

აი ისინიც, გამარჯვებულები: მეკარეები ზ. რუხაძე და ი. მინდელი, მცველები გ. დევდარიანი, გ. გერმანიშვილი, გ. ხვედელიძე, გ. ქოჩიშვილი, პ. ცნობილაძე და ლ. ოდიშაშვილი. ნახევარმცველები ჯ. კერესელიძე, გ. კოსტავა, გ. კვირიკაძე, დ. სალინაძე, გ. ცოფურაშვილები, თავდამსხმელები გ. თიბილოვი, მ. ამისულაშვილი, გ. ხუნწარია და ა. ჩელებაძე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტურნირში IV ადგილზე გამოვიდა ბათუმის „დინამოს“ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელები ლ. ვერულიძე და თ. ჯიქია).

ო. კირკიტაძე.

* * *

სურათზე: თასის მფლობელი თბილისის „დინამოს“ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი. მეორე რიგში დგანან მწვრთნელები ვ. კოპალიანი და ვ. ნასარიძე.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა XXIII ჩემპიონატი

ტურის ფინიშზე



ჩემპიონატის პირველი ტური დასრულდა გუშინდელი მატჩებით, გუშინწინ კი საასპარეზოდ პირველნი ბალტიისპირეთის წარმომადგენლები კაუნასის „გრანიტასის“ და რიგის „ცელტნიექსის“ გუნდები გამოვიდნენ. აქ აშკარა იყო ლიტველთა უპირატესობა, რომლებმაც მეტოქე დაჯაბნეს ყველა რგოლში და გაიმარჯვეს ანგარიშით 35:24 (16:12).

ზაპოროჟიელი სტუდენტები — ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის მფლობელნი — თბილისში შესუსტებული შემადგენლობით ჩამოვიდნენ. შვიდიოდე მოთამაშის უცვლელად მონაწილეობა ასეთი მაღალი რანგის მატჩებში ძნელია როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თუ მატჩის მსვლელობის დროს მეტოქემ მიმართა დაცვითს სისტემას, გუნდის ლიდერის თამაშიდან გამოთიშვის შემდეგ ნათელი გახდება, თუ რა სიძნელეთა წინაშე შეიძლება დადგეს კოლექტივი.

ასეც მოხდა. მოსკოველმა არმიელებმა ზაპოროჟიელთა საუკეთესო მოთამაშეს ბურენშტეინს პერსონალური მეურვე მიუჩინეს. ულიდეროდ დარჩენილმა გუნდმა ვერაფერი გააწყო მოსკოველთა გამუდმებული შეტევებისა და საიმედო დაცვის წინააღმდეგ და მატჩი დათმო — 26:32 (10:17).

თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ჩელიაბინსკის „პოლიოტის“ შეხვედრა პირველი წუთებიდანვე დუნედ, ყოველგვარი სპორტული ემოციების გარეშე წარიმართა. პირველ ტაიმში აშკარა იყო სტუმართა უპირატესობა. თბილისელთა დაცვამ ალღო ვერ აუღო მეშკოვისა და სტეპანოვის შორეულ ტყორცნებს, რომელთაც კარგად ეხმარებოდნენ წინა ხაზის მოთამაშეებიც. სწორედ მათი ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედებას წყალობით ჩელიაბინსკელები საგრძნობლად დაწინაურდნენ და დიდ ხანს ინარჩუნებდნენ უპირატესობას. თბილისელთა თამაშში გარდატეხა ვერ შეიტანა ვერც გარემარებების აქტიურობამ და ვერც გუნდის დებიუტანტის ზვერევის ზუსტმა ტყორცნებმა. ანპილოგოვის პასიურობამ (მას პერსონალურად მეურვეობდნენ), დაამუხრუჭა „ბურევესტნიკის“ შემტევი ძალა და თბილისელებმა ტაიმი წააგეს — 13:17.

მეორე ნახევარში ჩელიაბინსკელებმა რატომღაც ხელი აიღეს დაცვაში პერსონალურ მეურვეობაზე და ზონის ხაზისკენ დაიხიეს, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს თბილისელთა ბომბარდირებმა და ზუსტი ტყორცნებით ზედიზედ გაიტანეს გოლები. ამავე დროს ტაბიძის ყოველი გარღვევა (მან ამ მატჩში 10 ბურთი გაიტანა) მეკარე კომახიძის დროული დაცემების შემდეგ, კარის აღებით მთავრდებოდა. დაცვაც ორგანიზებული გახდა, ხოლო როცა თამაშის მე-40 წუთზე დ. აბესაძემ ანგარიში გაათანაბრა, მასპინძლები, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოხსნესო, თავისუფლად ათამაშდნენ, მათ ინიციატივა აღარ დათმეს და გაიმარჯვეს — 29:26.

გუშინ გაიმართა თბილისის ტურის ბოლო მატჩები: „პოლიოტი“ — „გრანიტასი“ — 33:29 (20:14), ცსკა — „ცელტნიექსი“ — 27:24 (14:14).

„ბურევესტნიკი“ ამ დღეს ზაი-ს შეხვდა. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 27:23 (12:13).

ჯ. აბაიშვილი,
საპატიო სპორტის ოსტატი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ა. ტაბიძე უტევს ზაპოროჟიელთა კარს.

ა. კოტორაშვილის ფოტო

გათამაშების ცხრილი

თბილისის ტური

მდგომარეობა 1 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	4	4	0	0	115-97	8
„გრანიტ.“	4	2	0	2	116-109	4
„ბურევ.“	4	2	0	2	105-108	4
ინდ. ინსტ.	4	1	1	2	105-133	3
„პოლიოტი“	4	1	1	2	105-115	3
„ცელტნ.“	4	1	0	3	99-101	2

კრასნოდარის სარბიელზე

კრასნოდარში, სადაც ასპარეზობს დანარჩენი 6 გუნდი, მეოთხე დღეს თამაშები ასე დამთავრდა: ასკ (ლვოვი) — „ნევა“ (ლენინგრადი) 34:36, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „კუნცევო“ 29:26, ასკ (მინსკი) — სკიფ-ი (კრასნოდარი) 28:26.

მდგომარეობა 1 ოქტომბრისთვის

ასკ მნ.	4	3	1	0	109-90	7
საავ. ინსტ.	4	3	1	0	118-113	7
სკიფ-ი	4	3	0	1	105-99	6
„ნევა“	4	2	0	2	126-123	4
„კუნც.“	4	0	0	4	100-114	0
ასკ ლვ.	4	0	0	4	98-117	0

● მძლეოსნობა

ახალი მიღწევით

სარდინიის ქალაქ კალიარიში სამთა მატჩზე (იტალია, იუგოსლავია, შვეიცარია) იტალიელმა მძლეოსნებმა ევროპის რეკორდი დაამყარეს 4X200 მეტრზე ამანათრბენში. მათი დრო 1. 21, 10, რაც 0,48 წამით სჯობს საფრანგეთის ნაკრების ძველ რეკორდს. იტალიელთა გუნდში გამოდიოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 200 მეტრზე რბენაში პ. მენეა, ს. ტილი, კ. სიმიონატო და ჯ. ბონჯორნი.

თასი — იგორ ბრიზგალოვს

კრასნოდარში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. კარგად გამოვიდა ჩვენი თანამემამულე, საბჭოთა კავშირის 1981 წლის ჩემპიონი, საერთაშორისი კლასის სპორტის ოსტატი დინამოელი **იგორ ბრიზგალოვი. მან მოაგროვა 5666 ქულა და მოიპოვა 1983 წლის საბჭოთა კავშირის თასი.**

მეორე იყო ს. რიაბიკინი (5608, ცსკა), მესამე — გ. სერგეევი (5532, ცსკა).

გ. დოლენჯაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: იგორ ბრიზგალოვი.

ავტორის ფოტო.



● ჭადრაკი

ლიდერობს ვილნიუსელი გოგონა

ქუთაისი, 1 ოქტომბერი (**ტელეფონით, „ლელოს“ კორ.**). სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ქუთაისის ნახევარფინალში გუშინ VIII ტურის შეხვედრები გაიმართა.

ჰ. ლაგვილავამ (ქუთაისი) ს. ბახარევასთან (მოსკოვი) შეხვედრაში უვნებელყო მეტოქის მუქარა და ზედმეტი ხარისხი შეინარჩუნა. ქუთაისელმა გოგონამ საზრიანი თამაშით პარტია გამარჯვებით დაასრულა.

ლ. კულიკოვამ (ერევანი) დაამარცხა ი. უმანსკაია (მოსკოვი). ყაიმზე შეთანხმდნენ თ. მინოგინა (მოსკოვი) — გ. სახატოვა (ალმაათა) და ო. პედკო (ჩელიაბინსკი) — ლ. პიარნპუუ (პიარნუ).

სამი პარტია გადაიდო. თ. ხუგაშვილს (თბილისი) მცირე უპირატესობა აქვს ც. ქასოშვილთან (გორი). ე. ხოროვეცის (მინსკი) ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა ტ. ფომინასთან (ტალინი).

8 ტურის შემდეგ ლიდერები არ შეცვლილან: კ. ბაგინსკაიტეს (ვილნიუსი) 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ტ. ფომინასა და ც. ქასოშვილს — 4,5-4,5 (1-1).

ლ. ფაჩუაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თამაშობენ კ. ბაგინსკაიტე (მარცხნივ) და ლ. კულიკოვა (ერევანი).

ავტორის ფოტო.



მხიარულ ტალღაზე

თანამედროვე ათლეტიზმი

სასტუმროში ახლადშემოსულ სტუმარს ტელეფონთან დაუძახეს. ვესტიბიულში მან ჩემოდანი დატოვა, რომელზეც პატარა ბარათი იყო მიკრული: „ეს ჩემოდანი ეკუთვნის ჩემპიონს, რომელსაც შეუძლია ცალი ხელით 50 კილოგრამი აწიოს. ხუთ წუთში დავბრუნდები“.

დაბრუნებისას ჩემოდნის ნაცვლად საპასუხო ბარათი დახვდა: „ეს ბარათი ეკუთვნის მძღოლს, რომელიც საათში 120 კილომეტრს ავითარებს. ასე მალე ვერ დავბრუნდები“.

სუსტი სქესი!

ჰოლდინგსის (ინგლისი) ლიცეის ფეხბურთელთა გუნდმა თავის ახალ კაპიტნად ერთხმად აირჩია 14 წლის გოგონა სიუ ბენეტი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბენეტის (იგი ერთადერთი გოგონაა ამ გუნდში) ზუსტი დარტყმებისა და დირიჟორის საუცხოო თვისებების გამო, კლუბმა ზედიზედ მოიგო 15 მატჩი!

რამდენია რეკორდი?

ათი წლის ქერარს, რომელსაც ძალიან უყვარს სპორტი, ექიმი სიცხეს უზომავს. პატარა პაციენტი ექიმს ეკითხება:

— რამდენია, ექიმო?
— 40.
— ბევრია, არა?
— ჰო, ძალიან ბევრი.
— აბა, რეკორდი რამდენია?



უსიტყვოდ...

ი. ყეინაშვილის ნახატი.

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-40 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 3 (ბობსლეი), 31 (ფარიკაობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 38 (აკრობატიკა), 41 (სამბო), 49 (შაში).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 16 (ცხენოსნობა), 20 (აფროსნობა), 29 (სასტენდო სროლა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07810